რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 12 ნოემბერი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 15 კაპ.

გამოწერის ფასი: ერთი თვით 3 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. სადღესასწაულო ნომერი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 მ. საქმიანი განცხადება უნდა მიიტანონ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიები მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან არ უგზავნის და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას აწარმოებს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Редакція «Эртоба». რედაქციის გამოგზავნის ადრესი: ...მიიღება.

რედაქციაში შერილთ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 195 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 195

# ხმა მიეცით სიას № 1.

## ამხანაგებო და მოქალაქენო! ამიერ კავკასიის ამომრჩეველნო!

ხმა მიეცით ზავისა, მიწისა და თავისუფლებისთვის! ხმა მიეცით ამიერ კავკასიის ერთა შორის სოლიდარობის და მშვიდობიანობის განმტკიცებისთვის!

ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატ მენშევიკების სიას № 1.

**ამიერ კავკასიის გლეხებო!** სოციალ-დემოკრატი—მენშევიკები პირველად გამოვიდენ ამიერ კავკასიაში მემამულეთა წინააღმდეგ საბრძოლველათ! მათ პირველმა გაიგეს თქვენი გაჭირვება! მათ შეუძლიათ ყველაზე უკეთ დაიცონ თქვენი ინტერესები და იბრძოლონ მიწებისთვის დამფუძნებელ კრებაში. ხმა მიეცით ს.-დემოკრატ მენშევიკების სიას № 1!

**ამიერ კავკასიის მუშებო!** ყველამ, როგორც ერთმა კაცმა, ხმა მიეცით ჩვენ პარტიას, სოციალ-დემოკრატების პარტიის სიას № 1.

**ჯარის-კაცებო!** სოციალ-დემოკრატი მენშევიკები უპირველეს ყოვლისა მოსთხოვენ დამფუძნებელ კრებას მიიღოს ენერგიული ზომები დაუყონებლივ ჩამოგდებულ იქნას დემოკრატიული ზავი. ჩვენ პარტიას ნამდვილი პირდაპირი გზა აქვს ზავის ჩამოსაგდებათ. ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატ მენშევიკების სიას № 1.

**ამიერ კავკასიის ერებო!** სოციალ-დემოკრატი მენშევიკები ამიერ კავკასიის ერთა სოლიდარობის და მშვიდობიან ცხოვრების ქვაკუთხედია, ერთა თავისუფალ განვითარების ფხიზელი დარაჯი! ნაციონალურ დაჩაგვრის შეურიგებელი მტერია! ამიერ კავკასიის ერთა სოლიდარობისა, ერთა თავისუფალ განვითარებისა, ერთა უმცირესობის უფლებათა დაცვისათვის—ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატ—მენშევიკების სიას № 1.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ამიერ კავკასიის ამომრჩეველნო! ზავისა, მიწისა და თავისუფლებისათვის, ამიერ კავკასიის ერთა სოლიდარობის და თავისუფალ განვითარებისათვის ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატ—მენშევიკების სიას № 1.

---

ღრმად დამწუხრებულნი შამა და ძმები ილიკო, ქუთაისში და ზესტაფონში თავადები და რძლები კატო, იულიტა და სირიკო; ძმის შვილები ზინა, ნატაშა, დარეჯანი, გერვენტი, ვასილი და ბიძა და მიცვალებულის გულამში და ირინე ამხედრებული სოლდათური ქედი ვაუწყებთ მის ამხანაგებს და მეგობრებს

**ანდრია სესიასმე თავამის**

გარდაცვალებას, რომლის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება სოლდით ზემოხევთში, წმ. გიორგის ეკლესიაზე 14 ნოემბერს, სამშაბათს, დილის 9 საათზე. ვთხოვ მის ამხანაგებს მობრძანდნენ და პატივი სცეთ. 1—1

---

ეფემიან კიროლის ასული და ივანე ათანასის ძე ბრეგვაძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ყვარელი მოქალაქის პირველი ძეირფასის მეუღლის და მეორე მამის

**ათანასე ბრეგვაძის**

დაკრძალვა იქნება კვირას, 12 ნოემბერს, დილის 10 საათზე, წმ. ნინოს სასაფლაოზედ. ადრესი: ანტონოვის ქუჩა, მეცხრე ფუნანი. 1—1

---

**თფილისის ქალაქის საბჭო**

აცხადებს თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ

**დამფუძნებელი კრების არჩევნები**

მოხდება 12 და 13 ნოემბერს, დილის 9 საათ.—საღამოს 9 საათამდე და 14 ნოემბერს, დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 2 საათამდე.

---

## ამიერ კავკასიის კოოპერატივების ჯურნალთა საბჭო.

20 ნოემბერს თფილისში გაიხსნება კოოპერატიული კურსები კოოპერატივებში მოსამსახურეთა და იმ პირთათვის, რომელნიც მოისურვებენ კოოპერატივებში მუშაობას.

კურსებზე მთავარი ყურადღება ექცევა მიქცეული მომხმარებელ და საკრედიტო კოოპერატივებში ანგარიშების და საქმის წარმოებას.

**კურსების პროგრამა:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | პოლიტიკური ეკონომია | 12 ს. | ლექტორი | გ. ი. ეგხტმანი. |
| 2. | კოოპერაციის თეორია | 12 ს. | „ | ქ. პ. კანდელაკი. |
| 3. | კოოპერაციის ისტორია | 8 ს. | „ | შ. გ. გამყლევა. |
| 4. | საკოოპერაციო კანონმდებლობა | 8 ს. | „ | რ. ა. აგაპაშვილი. |
| 5. | ბუღალტერია | 8 ს. | „ | ა. ხ. აზატიანი. |
| 6. | მომხმარებელ კოოპერატ. ანგარიშების წარმოება | 36 ს. | „ | შ. ზ. გოგებაშვილი. |
| 7. | საკრედიტო კოოპერაც. ანგარიშების წარმოება | 36 ს. | „ | ა. ბ. გრიგოლია. |
| 8. | მოწმობა და გამგებლობა მომხმ. კოოპერატივებისა | 10 ს. | „ | შ. ზ. გოგებაშვილი. |
| 9. | მოწყობა და გამგებლობა საკრედ. კოოპერატივებისა | 10 ს. | „ | ა. ბ. გრიგოლია. |
| 10. | კავშირების წყობილება | 4 ს. | „ | ქ. პ. კანდელაკი. |
| 11. | სასურსათო საქმის მოწყობა | 4 ს. | „ | შ. გ. გამყლევა. |

კოოპერატივების მიერ გამოგზავნილ პირთათვის კურსები უფასო იქნება; გარეშე პირნი, რომელნიც მიიღებიან კურსებზე თუ თავისუფალი ადგილები იქნება, გადაიხდიან 30 მ.

კურსების დასრულების შემდეგ მსმენელთათვის დანიშნული იქნება გამოცდები და გამოცდის შემდეგ მიიღებენ შესაფერ მოწმობებს.

საბჭოს მიერ მიღებულია ყველა ზომები, რომ პროვინციიდან გამოგზავნილი მსმენელნი უზრუნველყოფილნი იყვნენ ბინით და სურსათით შეღავათიან ფასებში (პროვინციიდან ჩამოსულებმა უნდა იქონიონ საბანი და ბალიში).

კურსებზე ჩაწერა მიიღება: ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში, თბილისი, მიხეილის ქუჩა № 178. 3—2

---

## დამფუძნებელი კრება და მუშათა პარტია

მოქალაქენო! თქვენს ხელშია დიდი რევოლუციის ბედი.

ნაციონალისტები და ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერები, ის პარტიები, რომელნიც მუდამ იბრძოდენ ნამდვილი თავისუფლების დამკვიდრების წინააღმდეგ, დღეს თქვენი ნდობის მოპოვებას ცდილობენ, მათი გამარჯვება რევოლუციის დასამარება იქნება.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

რევოლუციის მეთაური იყო, არის და იქნება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (მენშევიკებისა) და კერძოთ კავკასიის სოციალ-დემოკრატია. ის იცავდა და ერთგულად დაიცავს მუშათა და გლეხთა, მთელი დემოკრატიის ინტერესებს. რეაქციის ბნელ ხანაში, როცა მეფის მთავრობა სასტიკათ სდევნიდა თავისუფლებისათვის მებრძოლთ და მათ ციმბირით, კატორღით და სახრჩობელებით უმასპინძლდებოდა, ხალხს გვერდში ედგა მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატია და მთელ ძალებს შეძლებისდაგვარად უმასპინძლდებოდა. სოციალ-დემოკრატია იყო მეთაური რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

**ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიას, მის სიას № 1.**

კავკასიაში მრავალი ერი ბინადრობს. ნაციონალისტები მათ ერთი მეორეს უსისინებენ და ერთი მეორის წინააღმდეგ აქეზებენ, მათი მიზანია ერთა შორის შუღლისა და მტრობის გაღვივება და მით დემოკრატიის დასუსტება. მხოლოდ სოციალ-დემოკრატია მუდამ თავგამოდებით ესარჩლებოდა და ესარჩლება ერთა სოლიდარობას. 1905 წელს, როცა სომეხთა და თათართა შორის ხოცვა-ჟლეტა დაიწყო და ძმათა სისხლი იღვრებოდა, მუშათა პარტია გამოვიდა სოლიდარობის ერთგულ დამცველათ და ძმათა შორის შუღლს ბოლო მოუღო. ვისაც სურს ერთა შორის სოლიდარობა, ხმა მიეცით მუშათა პარტიის სიას № 1.

ამხანაგებო და მოქალაქენო! დღეს თქვენი ინტერესების დაცვას მრავალი პარტია ჩემულობს. გუშინდელი რეაქციონერები, დღეს თავისუფლების დამცველთა ქურქში გამოკაზმულან და თქვენგან ნდობის გამოცხადებას ითხოვენ. თქვენ რასაკვირველია არ დაუჯერებთ მათ ლიტონ განცხადებებს, არ აჰყვებით მათ რეკლამას და მოსთხოვთ დასაბუთებას, როდის ან სად დაიცვეს მათ მშრომელი ხალხის ინტერესები. არ დაუჯეროთ ადვილ აახნილ რეკლამისტებს, რომელნიც მჟღერალა ფრაზებით თავისი დამპალი პარტიული საქონლის გასაღებას ცდილობენ. ხალხის ინტერესებს მუდამ იცავდა და შემდეგშიაც ერთგულათ დაიცავს მხოლოდ მშრომელთა პარტია, სოციალ-დემოკრატია. ჩვენმა პარტიამ კავკასიაში პირველათ აღმართა დროშა მემამულეთა ბატონობის დამხობის. სოციალ-დემოკრატია 15 წელზე მეტია მედგრათ ებრძოდა მხვეცელ დიდ-აზნაურობას და გლეხებს გვერდში ედგა, რომ მათთან ერთათ შეემცირებია ღალა ხიზნებისა, დროებით ვალდებულ გლეხებისა და მთელი გლეხ-კაცობისათვის გადაეცა ადგილ-მამული, რომელსაც დღემდის ფლობდენ ეკლესიები, მონასტრები, სათავადო-აზნაურო უწყება და მემამულენი. სოციალ-დემოკრატია გლეხთა მოსარჩლე პარტიაა. ამხანაგებო გლეხებო! ხმა მიეცით სიას № 1.

ამხანაგებო მუშებო! თქვენ კარგათ იცნობთ თქვენსავე პარტიას, რომელიც ჭირში და ლხინში თქვენთან იყო და მუდამ დარჩება. მისი მეთაურობით თქვენ ეკვეთეთ მეფის მთავრობას 1905 წელს და შეარყიეთ მისი ბატონობა, რეაქციის ხანაში თქვენ მუშათა პარტიასთან ერთათ გაიზიარეთ მეფის ჯალათთა რისხვა, დღეს სოციალ-დემოკრატია რევოლუციის ბაირაღტარია და თქვენ მისი ხელმძღვანელობით მიემართებით რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისაკენ, რომ შემდეგ გზა გაიკვლიოთ ბედნიერების სამეფოსაკენ, დაამკვიდროთ სოციალიზმი და სამუდამოთ მოსპოთ ყოველგვარი უსამართლობა. ხმა მიეცით თქვენს პარტიას, მუშათა პარტიის სიას № 1.

სოციალ-დემოკრატია რევოლუციის მეთაურია, მისი გამარჯვება რევოლუციის გამარჯვება იქნება. **ხმა მიეცით რევოლუციის ხელმძღვანელ პარტიას, სოციალ-დემოკრატიას. ხმა მიეცით სიას № 1.**

## ჩვენი კანდიდატები

თითქმის ყველა პარტია იღებს მონაწილეობას დღევანდელ არჩევნებში, თითქმის საარჩევნო ნომერს შემოგთავაზებენ, მოქალაქენო. ყველა ერთგულებას გეფიცებიან, ყველა გპირდებათ თქვენი ინტერესების მედგარ დამცველობას.

ვის ენდობით თქვენ? ნუ თუ თქვენი ნდობის ღირსია ყველა ის, ვინც ლამაზ სიტყვებს ამბობს?

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა!

საქმემან მათმან გამოაჩინონ ისინი! მართლაც, სად იყვნენ ეს ვაჟბატონები მაშინ, როცა თქვენ თვითმპყრობელობის მძიმე უღელს ქვეშ გმინავდით? სად იყვნენ ეს მესხიშვილები, ლასხიშვილები, ვერმიშოვები და ძმანი მათნი. იმათგან ზოგი თბილ ადგილებზე ისხდენ, ზოგი ხალხის მტერთა რაზმში მოღვაწეობდა. ბრძოლა მათთვის უცხო ხილია.

არც ერთის სიის კანდიდატებს თქვენ არ იცნობთ გარდა სიის № 1-სა. მხოლოდ სიის № 1 კანდიდატებთან ერთათ გიწევიათ თქვენ ცხოვრების მძიმე უღელი, მხოლოდ მათთან ერთად გიწარმოებიათ სასტიკი ბრძოლა.

მართლაც, ვინ არიან ჩვენი კანდიდატები?

1) **ნოე ჟორდანია.** ვინ არ იცნობს მას, ბრძოლაში გაჭაღარავებულს, მთელი თავისი ახალგაზრდობა ბრძოლაში გაატარა. ჯერ კიდევ ოთხმოცდა ათიან წლებში, როცა ცხოვრებას მცონარე ინტელიგენცია მოქცეოდა სათავეში და ხალხი ნუღათ იყო გამოცხადებული, ნოე ჟორდანია მედგრად შეებრძოლა „მამებს“. არ შეუშინდა არც მათ დაცინვას და წყევა-კრულვას, არც მარტოობას. „მამები“ დამარცხდენ. მას შემდეგ ის მეთაურობს კავკასიის მუშათა მოძრაობას. ეს ცოტაა. მან ჩაუყარა საძირკველი მარქსიზმს ჩვენში. მის ნაწერებზე აღიზარდა ჩვენი ახალგაზრდობა. გარდა ამისა თუ ჩვენში ეროვნული კაცობრიობა ნორმალურათ მაინც უძლური და შერცხვენილია—ეს უმთავრესათ ნოეს წინამძღოლობის მეოხებით მოხდა.

ბევრი დევნა და ტანჯვა გადაიტანა მან მეფის ჯალათებისაგან, ბევრი უსამართლობა უგემნია ჩვენი მცონარე ინტელიგენციისაგან, მაგრამ ის მაინც ამაყათ სდგას ბრძოლის ველზე ვით ას წლოვანი მუხა. ცხადია ის შესძლებს დანაპირების ასრულებას. მისი კანდიდატურა თავდებია იმის, რომ თქვენს ინტერესებს მედგარი დამცველი ეყოლება.

არ მეორე კანდიდატიც. ეს არის

2. **ირაკლი წერეთელი.** მას მთელი რუსეთი იცნობს. ჯერ კიდევ მეორე სათათბიროში (დუმაში) ისახელა თავი. ის სახელოვან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ფრაქციის მეთაური იყო. ვის არ ახსოვს მისი მგზნებარე სიტყვები სტოლიპინის რეჟიმის წინააღმდეგ! სტოლიპინი ხედავდა, რომ საფრთხე იყო სოციალ-დემოკრატიის ადლაგმვა. მან გარეკა დუმა და მთელი ფრაქცია დაატყვევა. წერეთელს და მის ამხანაგებს შეეძლოთ გაქცევით თავის შველა, მაგრამ მათ ეს არ ჩაიდინეს. ის ამაყათ წარსდგა მეფის მთავრობის წინაშე და სასჯელათ ბორკილები მიიღო. მაგრამ არც კატორღაში და ცივ ციმბირში არ დაივიწყებია მას ხალხი. რევოლუციამ მას თავისუფლება დაუბრუნა. ჯანით სუსტი და ღონით, ის პეტროგრადის ნესტიან ჰავაში ეწევა დაუღალავ შრომას.

დღესაც, როცა უპასუხისმგებლო დემაგოგებმა პეტროგრადი ხელში ჩაიგდეს და ცხოვრების უზომო არევ-დარევა შექმნეს—წერეთელი ისევ იქით გაეშურა.

ყველაფერი ხალხისთვის, არაფერი თავისთვის—ამამათ შეუძლია სთქვას თავის თავზე წერეთელმა.

3. **ქ. ჩხეიძე.** ეს ჩვენი ნიკო ჩხეიძე, ჩვენში კარლოს სახელით ცნობილი, როგორც მარქსიზმის ღრმა მცოდნე. დიდი ხანია იცნობს მას ხალხი, ის მესამე და მეოთხე დუმის დეპუტატი იყო. მისი ხმა მედგრათ გაისმა მას შემდეგ მთელს რუსეთში. ის რევოლუციის ერთი მეთაურთაგანია იმ თავიდან. მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამიერ-კავკასიის ამრჩეველნო

**ამხანაგებო და მოქალაქენო, გაეშურეთ საარჩევნო ყუთებისაკენ! მოიხადეთ დიადი მოქალაქობრივი ვალი!**

გახსოვდეთ, რომ დღეს თქვენ უნდა გამოსჭედოთ რუსეთის რესპუბლიკის მომავალი!

## ზავისა, მიწისა და თავისუფლებისათვის ხმა მიეცით სიას № 1.

მირს მტრობა და შუღლი ამიერ-კავკასიის ერთა შორის!

გაუმარჯოს მმურ სოლიდარობას და ამიერ-კავკასიის ერთა მშვიდობიან ცხოვრებას, ხმა მიეცით სიას № 1.

მირს სამოქალაქო ომი და ძმათა სისხლის ღვრა! გაუმარჯოს გაერთიანებულ დემოკრატიას!

**ამხანაგებო და მოქალაქენო! მიაშურეთ საარჩევნო ყუთებს და ხმა მიეცით სოც.-დემ. მუშ. პარტიის (მენშევიკების) სიას № 1.**

შვიდი თვის განმავლობაში ებრძოდა ის ბოლშევიკების ავანტიურას და ღირსეულად ატარა პროლეტარიატის დროშა. ხოლო როცა ომის მიერ გამოწვეულმა ცხოვრების არევ-დარევამ ჯარს მოთმინება დაუკარგა, ჩხეიძის მოწოდება დარჩა ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. საუბედუროთ, ნაყოფიც იგემა რუსეთმა: დღეს საშინელი ანარქია გამეფებული, ძმა ძმის სისხლსა ღვრის. ვის შეეძლო თავის ავტორიტეტით და პრაქტიკული გამოცდილებით ამ უბედურების მოსპობას ხელი შეეწყო? რასაკვირველია, ჩხეიძეს.

4) **ევგენი გეგეჭკორი**, რომელმაც სახელი გაითქვა მესამე სახელმწიფო სათათბიროში, რომელიც მეოთხე სათათბიროშიაც იქნა არჩეული, მაგრამ ჩვენი ფედერალისტების ხრიკების წყალობით, მაშინდელ ბიუროკრატიის მიერ სიგელი ამოშალეს. ის დღეს კავკასიის რევოლუციონურ მოძრაობის ერთი მეთაურთაგანია.

5) **არჩილ ზურაბოვი** — ყოფილი დეპუტატი მეორე სათათბიროსი და წევრი სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის. წერეთელთან ერთად დასჯილი. ის მხოლოდ რევოლუციამ გაანთავისუფლა.

6—7) **ნოე და ისიდორე რამიშვილები**, რომელთაც თავის სიცოცხლის ნახევარი ციხეებში და გადასახლებაში გაუტარებიათ მუშათა და გლეხთა ინტერესებისათვის ბრძოლისათვის.

ჩხენკელი, სკობელევი, მუშა ჯიბლაძე, სმირნოვი, ბექზადიანი, არსენიძე, ლომთათიძე და სხვები. ყველა ხალხის ინტერესებისთვის ბრძოლაშია გამოწრთობილი, არც ერთს მათგანს თბილს ადგილებზე არ უზრუნია. ხალხთან ყოფნა — ეს მათი სულიერი მოთხოვნილებაა, ეს ჰაერია მათთვის.

და ხალხიც მათ მისცემს ხმას.

**ხმა მიეცით სია № 1.**

## ამრჩევლებს

### ყუთებისაკენ!

ვეღირსეთ. ბოლოსდაბოლოს გაგვიმართლდა. დღეს პირველად მივალთ ყუთებთან დამფუძნებელ კრების წევრთა ასარჩევად. დღეს უნდა ავირჩიოთ ჩვენი დეპუტატები.

„რუსეთი დიდია, მაგრამ წესრიგი არ მოეპოვება“ — ამას წელიწადზე მეტია, რაც ეს თქვეს და ამ ხნის განმავლობაში ამ მწარე დახასიათებას მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

არა წესრიგი იყო. ეს იყო წეს-რიგი ერთი წრესი, ბიუროკრატების მიერ დაწესებული დასამორჩილებლად. დეპუტატიც იყვნენ ხოლმე, კრებაიც იმართებოდა. მაგრამ ეს იყო იმავე ბიუროკრატების ხელები. მათში იყვნენ ვეზირები და კნიაზ-გრაფები, ეპისკოპოსები და სხვა დიდებულები.

კანონიც იყო. მაგრამ ეს იყო კანონი უმრავლესობის დამჩაგვრელი. სათავეში იჯდა მეფე, რომელიც „ნებითა ღვთისათა“ განაგებდა ქვეყანას, ე. ი. ის მხოლოდ ღვთის წინაშე აგებდა პასუხს, სანამ ცოცხალი იყო და ამ ქვეყანად ცხოვრობდა, მას ვერავინ მოსთხოვდა პასუხს.

ერთს დიდს უდაბნოს წარმოადგენდა რუსეთი.

ხალხის მოძრაობამ ძირს ჩამოაგდო ამ უდაბნოს ბელადები. დღეს უნდა აშენდეს ახალი წყობილება, უნდა დაეყაროს ახალი ფუძე. ეს უნდა გააკეთოს დამფუძნებელმა კრებამ. მან საბოლოოდ უნდა მოსპოს იდეა „ნებითა ღვთისათა“ ქვეყნის მართვისა, ამ თვითმპყრობელ დებულებას უნდა დაუპირისპიროს დებულება: „ნებითა ხალხისათა“. ახალი წყობილება, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ უნდა შექმნას, უნდა იყოს ხალხის ძლევამოსილების გამომხატველი. მაშ მიაშურეთ საარჩევნო ყუთებს: არც ერთი ხმა არ უნდა დაიკარგოს!

გაუმარჯოს ხალხის უზენაესობას.

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

ვინ უნდა აირჩიოთ:

1) **კადეტები?** ჩვენ არ მივმართავთ სხვილ მემამულეებს, ძველი წოდების დამცველ თავადებს, მდიდარ სამღვდელოებას, სხვა ბურჟუაზიას. ეს ქვეყანა ხალხისაა და ჩვენი პარტიის თვალი იქ ვერ იხედება. ჩვენ მივმართავთ მუშებს, გლეხებს და საზოგადოთ წვრილ ხალხს. თქვენთან იმყოფება და ტერორისტი(?) თქვენთან არის მიმართული ჩვენი მოწოდება.

მაგრამ თქვენსკენ ბევრნი იშვერენ ხელს. ისეთები უფრო ხშირად ყველაზე, ეგრეთ წოდებული კადეტები. ეგენი თავის თავს „ხალხის თავისუფლების“ პარტიას უწოდებენ.

როგორია მათი თავისუფლება? მათ სურთ ქვეყნის სათავეში იდგეს მეფე, მხოლოდ არა თვითმპყრობელი, არამედ ცოტა შეზღუდული. ასეთი წყობილება მდიდრებისთვის საუკეთესოა, ეს მათი თავისუფლება იქნება მდიდრების თავისუფლება. მაშ რათ არქმევენ თავის თავს ხალხის თავისუფლების პარტიას?

ერთობ თვალთმაქცი ხალხია. კერძო ცხოვრებაში ამისთანა ხალხს უნამუსოს ეძახიან.

მართლაც რა სინდისია ამომრჩევლების წინაშე ტყუილებით გამოსვლა. მარტში, როცა საერთო მოძრაობამ ისინიც გაიტაცა, გამოაცხადეს: ჩვენ რესპუბლიკის მომხრენი ვართ და **ხალხის თავისუფლებას** ვიცავთო! იქნებ იმისთვის იბრძოლებენ, რომ გლეხებს მიწები მისცენ? არა. მიწების მიცემას თანახმანი არიან, მხოლოდ **ხაზინამ უნდა გამოისყიდოსო.**

ეს ვაჟბატონები დღეს აშკარა მომხრენი არიან ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალების.

თქვენ უნდა მოითხოვოთ **რესპუბლიკა**, ე. ი. მთელი ძალაუფლების ხალხის ხელში გადასვლა, **მაგრამ მემამულეების და ეკლესია-მონასტრების მიწების ხალხის ხელში უფასოთ, გამოუსყიდავათ გადაცემა.**

ამიტომ ვისაც მიწა არ ემეტება თქვენთვის, მათ ერთს ხმასაც ვერ მისცემთ. ასეთია კადეტები, რომელნიც გამოდიან **სიით № 2.**

არც ერთი ხმა ამ პარტიას! არც ერთი ხმა კადეტების სიას № 2!

ვინ უნდა აირჩიოთ:

2) **სოციალისტ-რევოლუციონერები?** მეფობის დაუძინებელი მტრები ესენიც არიან. ამათ ხალხის მართველობა უნდათ; ესენი რესპუბლიკელები არიან.

მათაც სურთ მემამულეებს მიწები გამოუსყიდველათ, უფასოთ ჩამოართვან.

მაგრამ აქ იბადება კითხვა: ვის უნდა ჩამოართვან? წაიკითხეთ მათი პროგრამა და ამ პროგრამის დასაბუთება. ისინი ამბობენ: ქალაქში ზოგი მდიდარია, ზოგი ღარიბი, ერთი სიტყვით უთანასწორობაა. მაგრამ ეს ასე დარჩეს, სანამ სოციალისტური რევოლუცია მოხდებოდეს. სოფელი მაინც დავიხსნათო, გაიძახიან. რითი ფიქრობენ სოფლის ხსნას? **ყველას ჩამოვართვათ მიწა, წვრილ მესაკუთრესაც და სოფლის ხაზთ გადიებას გადავცეთო,** მაშინ ყველა თანასწორი იქნება, თხა და მგელი ერთად იძოვებსო. მერე თქვენ გგონიათ, რომ სამუშაო იარაღიც და ფულიც თანასწორათ ექნება ყველას იმ სოფელში, რომლის შექმნას სოციალისტ-რევოლუციონერები ფიქრობენ? თქვენც არ მოიკვდებით! მაშ როგორ შეგიძლიათ თქვენს ერთ ხელ მიწაზე ხელი აიღოთ და სოფლის საზოგადოებას გადასცეთ! რასაკვირველია! აი ასეთ უთავბოლო პროგრამის ხალხი გვპატიჟებიან ხმა მოგვეციო. მათი სია № 3 ია. არც ერთი ხმა სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიას! ზურგი შეაქციეთ მათს სიას № 3-ს.

3) **ბოლშევიკები ხომ არ უნდა აირჩიოთ?**

ესენიც სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ თავის თავს.

მარქსისტებათ მოაქვთ თავი. მაგრამ დღეს მათ მარქსისტობის არა სცხიათ რა.

მეფის მთავრობა მათაც პირველ ეჯავრებოდათ, მის მოსასპობათ ჩვენთან ერთად იბრძოდენ.

მაგრამ როცა დღეს ძალაუფლება ხელთ იგდეს, ხალხის ფართო მასას ზურგი აქციეს. მათ ისარგებლეს მრავალ-ტანჯულ ჯარის დაღლილობით და შემთხვევითი სულიერის განწყობილებით მოქალაქის დათრგუნვას შეუდგნენ. რასაკვირველია, ხალხის კარგი სურთ. მაგრამ ხალხს არ ეკითხებიან: „ყველაფერი ხალხისთვის, ხოლო ხალხის დაუკითხავად“ — აი ამ ძალთ მეცხრამეტე(?) პირველი მცნება. ამიტომ მათს კეთილს სურვილებს მხოლოდ ცუდი შედეგი მოჰყვა, მთელს რუსეთში სამოქალაქო ომი გაჩაღდა და დღეს საეჭვოა შესძლებს თუ არა რუსეთი ამ საბედისწერო მდგომარეობიდან თავის დაღწევას.

ბოლშევიკები — ეს ჯგუფურათ მოაზროვნე ხალხია. მიეცით მათ დამფუძნებელ კრებაზე უმრავლესობა და თქვენ მოწმენი გახდებით მოულოდნელის, უდიდესი ექსპერიმენტების. ეს რევოლუციის დასამარება იქნება, რასაკვირველია ბოლშევიკების სურვილების წინააღმდეგ.

მაშ ერიდეთ ამ უგუნურ მეგობრებს! არც ერთი ხმა ბოლშევიკებს, თუ არ გსურთ სამოქალაქო ომი და რევოლუციის დასამარება ხმას ნუ მისცემთ სიას № 5.

4) ეგებ(?) იქნებ თუ არა ჩვენებურ ნაციონალ-დემოკრატებს და სოციალისტ-ფედერალისტებს ან სომხის დაშნაკელებს და თათართა ნაციონალისტურ პარტიებს?

ნაციონალ-დემოკრატები — ეს იგივე კადეტებია ქართულ ნიადაგზე.

სოციალისტ ფედერალისტები და დაშნაკელები ერთი ჯურის პარტიებია, მხოლოდ სხვადასხვა ეროვნების. ესენი საერთოთ ერთა შორის შურის მთესველი პარტიებია, მათი მოქმედება მხოლოდ შურსა და მტრობას იწვევს ერთა შორის.

კერძოთ, ჩვენი ფედერალისტები ინტელიგენტების ჯგუფიდან შესდგება. ესენი უჯარო გენერლებია. მათს ხმას მისცემს ქართველი დიდებული(?), ქართველი მოხელე და უმთავრესათ ქართველი მცირედი ინტელიგენტი. ხალხთან ის დაშორებულია და ხალხიც არ სცნობს მათ?

ცხადია, თქვენ ვერ მისცემთ თქვენს ხმებს ამ პარტიებს.

5) **ხმა მიეცით სიას № 1!**

ამ სიით გამოდის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მენშევიკებისა. ის მუდამ თქვენთან იყო და დღესაც თქვენთან არის, ის მოითხოვს რესპუბლიკას. ხალხის მმართველობას. ამ მხრით ის ერთად მიდის სოციალისტ-რევოლუციონერებსა და ბოლშევიკებთან. მაგრამ ამის შემდეგ ის მათ შორდება.

მას ვერ წარმოუდგენია, თუ რათ უნდა ჩამოერთვას მიწა აგრეთვე წვრილ მესაკუთრესაც. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მიწები ჩამოერთვას მხოლოდ მემამულეებს, ეკლესიებს, მონასტრებს და სხვ. ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე მთელი ხალხის, დემოკრატიის შეკავშირებას. არც ერთი ფართო ნაწილი არ უნდა იქნას გადაგდებული, რომ რევოლუცია არ დაიღუპოს. ამ თვალსაზრისით ვუცქერით ჩვენ როგორც ზავის საკითხს, ისე ეროვნულს. ამ კითხვების გადაჭრა ჩვენ დამფუძნებელ კრებას მივანდეთ. დამფუძნებელ კრებაზე კი მედგრათ მოვითხოვთ ზავს უანექსიოს და უკონტრიბუციოს და ყველა ეროვნების ეროვნულ საქმეების თავისუფლად მოწყობის უფლებას.

ვისაც სურს ნამდვილი, დემოკრატიული წყობილება, ხალხის თავისუფლება, მიწა გლეხებისთვის, ზავი მთელი ქვეყნისთვის და სამოქალაქო ომის თავიდან აშორება — ის ვერ დაუდგება(?) ვერ აუვლის სოციალ-დემოკრატ მენშევიკების სიას № 1.

**ხმა მიეცით სიას № 1!**

**არც ერთი ხმა სხვა პარტიებს!**

## სია № 1

დღეს — 12 ნოემბერს — დამფუძნებელ კრების არჩევნები იწყება. ქალაქებში არჩევნები სამი დღე გრძელდება, ხოლო სოფლებში ერთი კვირა.

ამხანაგებო და მოქალაქენო, მუშებო და სოფლის გლეხებო, ღარიბნო და ტვირთ-მაშვრალნო, ქალებო და კაცებო! რუსეთის დიდი რევოლუცია დღეს თქვენგან ახალი ძალების მობილიზაციას მოითხოვს; დღეს თქვენ უკანასკნელი ძალა უნდა მოიკრიბოთ და სწორი მოქალაქობრივი შეგნებით საარჩევნო ყუთის წინაშე წარსდგეთ.

დიადია ეს დღე თქვენთვის, დიადია ამ დღის მნიშვნელობა. ჩვენ დიდი ხანი ველოდით ამ სანეტარო დღეს, ბევრი ეკლიანი გზა გავვლეთ, მრავალი მსხვერპლი შევწირეთ, მრავალი სისხლი დავღვარეთ და აი პროლეტარიატი და სოფლის გადატაკებული გლეხკაცობა მოესწრო ამ არა-ჩვეულებრივ დღეს. დამფუძნებელი კრების არჩევნებს და თქვენც დღეს უნდა ჩაუყაროთ ხალხის მართველობას მტკიცე საფუძველი.

დამფუძნებელი კრება ხალხის უძვირფასი სურვილებისა და ვნების გამომხატველია და აქ ჩაეყრება მომავალ დემოკრატიულ რესპუბლიკას საძირკველი.

მაგრამ ვინ გაიმარჯვებს დამფუძნებელ კრების არჩევნებში, ვინ მოექცევა დამფუძნებელ კრებაში და ვისი წარმომადგენლები იქნებიან იქ. დღეს საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, სხვადასხვა კლასების წარმომადგენლები და თითოეული მათგანი ამომრჩევლებს თავისი სიისაკენ მოუწოდებენ, ყველა იმათგანი ხალხის თავისუფლებას პირდება. საარჩევნო ბრძოლის კამპანიას 16 პარტია აწარმოებს და თითოეულ მათგანს ხალხის ინტერესების დამცველად მოაქვთ თავი.

მაგრამ ამიერ კავკასიის მუშათა კლასი და გადატაკებული გლეხკაცობა გაწვრთნილია კლასობრივ ბრძოლაში, ალღოთმილია(?) პოლიტიკურად და კარგათ ერკვევა, თუ ვინ არის მისი მტერი და ან მოყვარე.

სია № პირველის კანდიდატებმა მთელი ამიერ კავკასიისა და მთელი რუსეთის პროლეტარიატის გადატაკებულ გლეხკაცობაში დიდი ხანია თავდადებულ მებრძოლთა სახელი დაიმსახურეს. სია № პირველს ამშვენებენ ისეთი კანდიდატები, როგორიც არიან ნ. ჟორდანია, კაკო წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ევ. გეგეჭკორი, არ. ზურაბოვი, ჩხენკელი, სკობელევი, ისიდორე და ნოე რამიშვილები, ალექსანდრე ლომთათიძე, მ. ხარაძე და სხვები. ამათი სწორუპოვარი მთელ წლობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისტორიაში ოქროს ასოებით არის აღნიშნული და მათ თავდადებული ბრძოლის მომსწრენი მთელი ამიერ-კავკასიისა და რუსეთის პროლეტარიატია.

მართალია მათ უანგარო და თავგანწირულ ბრძოლაში ეჭვი შეაქვთ ჩვენებურ ეგრეთ წოდებულ უპასუხისმგებლო ანარქო-ბლანკისტურ ბოლშევიკურ პარტიას, მაგრამ მათი მუქარული, ტყვინ(?) ნაღრძობი გმობა სია № 1 კანდიდატების სახელს ვერ გაუტეხს და ამიერ კავკასიის პროლეტარიატისა და გლეხკაცობას მათზე ისტორიულად შემუშავებულ აზრს ვერ შეუცვლიან.

ამიერ კავკასიის მუშათა კლასი და ყველა ტვირთ მაშვრალი, ყველა ეროვნების დემოკრატია კარგათ იცნობს, თუ ვინ არიან სია № 1 კანდიდატები. მათ საქმიანობას და პროლეტ. ინტერესებისადმი ბრძოლის დაღდებას მთელი ოცი წლის ისტორია აქვს, იგი მათი პოლიტიკური მოღვაწეობის უტყუარი ფაქტებია. გოეთემ სთქვა: პირველათ იყო ფაქტი და ამიერ კავკასიის დემოკრატიამაც გაიხსენოს ჩვენი კანდიდატების წარსული და აწმყო მოღვაწეობის ფაქტები. სია № 1-ის თითოეული კანდიდატი პროლეტარიატის და გლეხკაცობის სწორ-უპოვარი მომხრენი არიან და მათი ინტერესების დაცვას შეალიეს მთელი თავისი ძალ-ღონე.

მაშ, ამხანაგებო და მოქალაქენო! მხარი დაუჭირეთ სია № 1, ესენი დაამყარებენ რუსეთში დემოკრატიულ რესპუბლიკას, ესენი მისცემენ გლეხკაცობას მიწას, ესენი ჩამოაგდებენ დაუყოვნებლივ დემოკრატიულ ზავს და მით ხალხის მართველობას მკვიდრ ნიადაგს ჩაუყრიან. მაშ ხმა მიეცით სია № 1 და არც ერთი ხმა სხვა პარტიას.

## სოციალისტ-რევოლუციონერები და დაშნაკცუტიუნი

ამიერ კავკასიის საარჩევნო ოლქის დამფუძნებელი კრების არჩევნებში ეს ორი „მონათესავე“ პარტია ცალ-ცალკე გამოდის.

სოციალისტ-რევოლუციონერები მე-3 ნომრით სიით.

დაშნაკცუტიუნი მე-4 ნომრით.

ორივე ეს პარტია მშრომელ ხალხს — მუშებს და გლეხებს მოწოდებით მიმართავენ, რომ ეს პარტიები გაათეთრონ, მათ გამოუცხადონ ნდობა, მათ ჩააბარონ თავისი ბედი.

სოციალისტ-რევოლუციონერები ამბობენ: ჩვენ ვართ მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველნი განურჩევლად სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სხ. ერთი სიტყვით, — ინტერნაციონალისტები ვართო.

დაშნაკცუტიუნი ამბობს: ჩვენც სოციალისტური პარტია ვართ, — რუსი სოციალისტ-რევოლუციონერების „მონათესავე“, ვიცავთ უპირველესად სომეხ მშრომელი ხალხის ინტერესებს, მაგრამ ამასთანავე, ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებსაც, ვინაიდან სოციალისტურ საერთაშორისო ბიუროში ჩვენი წარმომადგენელი გვყავსო.

ნაციონალისტური დაშნაკცუტიუნიც ამბობს ინტერ-ნაციონალისტური პარტია ვართო.

რა სახითაც არ უნდა გამოვიდნენ საარჩევნო ბრძოლის ველზე ეს ორი მონათესავე პარტია, მათი ისრები ბრძოლაში მიმართულია სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ.

ბრძოლაში მეთაურის როლი ჩვენს წინააღმდეგ დაშნაკცუტიუნს ეკუთვნის.

დაშნაკცუტიუნი ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ სოციალდემოკრატიის, ამ ინტერნაციონალურ პარტიისაკენ მიიწევს სომხის ღარიბ-დატაკთა კლასი.

ეს ხელსაყრელი არ არის დაშნაკცუტიუნისთვის, ამას ვერ ურიგდება მისი ნაციონალისტური სინიდისი.

და აქ ჩნდება სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. დაშნაკცუტიუნის არენიდან ბრძოლის შესაფერი იარაღიც გამოდის ამ დროს.

სოციალდემოკრატია ქართული ნაციონალისტური პარტიათა, ესაა დაშნაკელთა ზარბაზანი ჩვენს წინააღმდეგ მომართული.

სოციალდემოკრატია შოვინისტური პარტია, ესაა ამ ზარბაზნის ყუმბარა.

ამ პარტიის მიზანია ქართველ და სომეხ მშრომელთა შორის უთანხმოება-გათიშვა შეიტანოს. ნაციონალისტური ბრძოლის გაჩაღება იმ მშრომელთა შორის, რომლებსაც დაშნაკცუტიუნის გაჩენამდე თანხმობით, კეთილმეზობლურათ უცხოვრიათ! აი რას ემსახურება ის.

რას აკეთებს ამ ბრძოლაში სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია? ის ხშირად დაშნაკცუტიუნის ხელში ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის უბრალო იარაღია.

სხვაფრივ არც შეიძლება იყოს. სამართლიანი აზრი შემუშავდა ადგილობრივ სოციალისტ რევოლუციონერებზე. ეს გამვლელთა პარტიაა ამიერ-კავკასიაშიო, ამბობენ, და ეს სრული სიმართლეა.

აბა, რა იცის გამვლელმა პარტიამ დაშნაკცუტიუნის გუშინდელი მოღვაწეობის!

დღეს ხომ ლამაზ სიტყვებს ამბობს დაშნაკცუტიუნი! მორჩა და გათავდა!

წარსული კი, დაშნაკცუტიუნის ვერ არის სახეირო ისე, როგორც აწმყო-მომავალი მისი.

1905 წლის დეკემბერში რეაქციის გაბატონებისას შემდეგი ამბავი იუწყება:

„ყველა მოქალაქეს“.

„დაშნაკცუტიუნის“ პარტიის თფილისის ცენტრალური კომიტეტი 26 დეკემბერს გავიდა „შეთანხმების ბიუროდან“, რის გამო შეთანხმების ბიურომ მიიღო შემდეგი რეზოლუცია“:

მიიღეთ რა მხედველობაში 1) რომ მთელი რუსეთი მოცულია რევოლუციონური მოძრაობით, რაც ბევრ ადგილას შეიარაღებულ აჯანყებათ გადაიქცა, 2) რომ კერძოთ ჩვენში, თფილისში, ხულიგანთა ბრბომ ჩაიგდო ხელში მთავრობა და ქალაქი იძარცვა და გაძარცვა ხოლო მშვიდი მცხოვრებნი ასობით ამოწყვიტა კაზაკებმა და ხულიგნებმა, 3) რომ კონტრ-რევოლუციის ჩასაქრობათ დაარსებულ იქნა რევოლუციონურ პარტიათა ბიურო შეთანხმებისა, რომლის წევრათ მიღებულ იქნა „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის თფილისის ცენტრალური კომიტეტის მიერ;

„დაშნაკცუტიუნის“ პარტიის თფილისის ცენტრალური კომიტეტის გამოსვლას შეთანხმების ბიუროდან რევოლუციონური მოძრაობის ასეთ კრიტიკულ მომენტში ბიურო შეთანხმებისა თვლის რევოლუციონური ბრძოლის ველის მიტოვებათ, ხოლო მის მიერ წამოყენებულ მოტივებს კი ყოვლად უსაბუთოთ. (ხელს აწერენ)

გადაეცეს ბიურო თფ. ორგ. რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტი პარტიისა „ჰინჩაკ“. თფ. კომიტ. სოც.-რევოლუციონერებისა. თფილისის კომიტეტი ქართულ პარტიის სოციალისტ-ფედერალისტებისა“.

27 დეკემბერი 1905 წ.

გამვლელ სოციალისტ-რევოლუციონერებს ეს ამბავი დაივიწყნიათ და ეხლა „მონათესავეთ“ თვლიან დაშნაკცუტიუნს. და თუ არ დაივიწყნიათ, მით უარესი!

„რევოლუციონური ბრძოლის კრიტიკული მომენტი“ ბევრჯერ გაუჩნდება ჩვენ მიერ არჩეულ დეპუტატებს და ყოველთვის თუ მათ ბრძოლის ველი მიატოვეს, როგორც ეს დაშნაკცუტიუნმა 1905 წელს ქნა, ეს იქნება ჩვენი ინტერესების დაცვა?!

ამიტომ, მოქალაქენო! არც ერთი ხმა ბრძოლის ველის მიმტოვებელს — დაშნაკცუტიუნის სიას № 4.

არც ერთი ხმა მის „მონათესავე“ — სოციალისტ-რევოლუციონერების სიას № 3.

ხმა მიეცით იმ პარტიის სიას, რომელიც კრიტიკულ მომენტში ბრძოლის ველზე იდგა, რომელიც, როგორც ლხინში, ისე ჭირში, მშრომელთა ბანაკში იყო — ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას № 1-ს.

## ჩვენ ქალებს!

კერძო ლაპარაკში, თუ საზოგადოებაში თქვენ მუდამ პირზე გაკერიათ ქალთა უფლებრივი თანასწორობა, თქვენ მუდამ იმას გაიძახით მამაკაცებმა დაგვჩაგრეს, მამაკაცები ხელს გვიშლიან, თორემ ჩვენ მათზე ნაკლებ არ შეგვეძლია საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობა, საზოგადო სამსახური. თუ ეს თქვენი სიტყვები გულწრფელი სიტყვებია, თუ მართლა თქვენ გსურთ საზოგადო ფერხულში ჩაებათ, თუ თქვენ გსურთ მამაკაცებთან საზოგადო საქმე აკეთოთ, თუ თქვენი გოდება ქალთა უფლებრივ გაუთანასწორების შესახებ მარტო ლამაზი სიტყვები არ არის და მას სერიოზული შინაარსი აქვს, აი დადგა კიდეც

# ჩვენი საარჩევნო ბიულეტენი

№ 1. Закавказскій Избирательный Округъ. № 1.

| ГОЛОСУЮ ЗА СПИСОКЪ Россійск. Соціалъ-Демократ. рабоч. Партіи № 1. | ხმას ვაძლევ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას № 1. |
|---|---|
| 1. Жорданія Ной Николаевичъ | 1. ჟორდანია, ნოე ნიკოლოზის ძე |
| 2. Церетели Ираклій Георгіевичъ | 2 წერეთელი, ირაკლი გიორგის ძე |
| 3. Чхеидзе Николай Семеновичъ | 3. ჩხეიძე, ნიკოლოზ სიმონის ძე |
| 4. Гегечкори Евгеній Петровичъ | 4. გეგეჭკორი, ევგენი პეტრეს ძე |
| 5. Зурабовъ Аршакъ Герасимовичъ | 5. ზურაბოვი, არშაკ გერასიმეს ძე |
| 6. Рамишвили Ной Виссаріоновичъ | 6. რამიშვილი, ნოე ბესარიონის ძე |
| 7. Рамишвили Исидоръ Ивановичъ | 7. რამიშვილი, ისიდორე ივანეს ძე |
| 8. Чхенкели Акакій Ивановичъ | 8. ჩხენკელი, აკაკი ივანეს ძე |
| 9. Скобелевъ Матвѣй Ивановичъ | 9. სკობელევი, მათე ივანეს ძე |
| 10. Джибладзе Владиміръ Георгіевичъ | 10. ჯიბლაძე, ვლადიმერ გიორგის ძე |
| 11. Георгадзе Григорій Тимофеевичъ | 11. გიორგაძე, გრიგოლ ტიმოთეს ძე |
| 12. Смирновъ Михаилъ Николаевичъ | 12 სმირნოვი, მიხეილ ნიკოლოზის ძე |
| 13. Бекзадянъ Іосифъ Артемьевичъ | 13. ბეკზადიანი, იოსებ არტემის ძე |
| 14. Ломтатидзе Александръ Спиридоновичъ | 14. ლომთათიძე, ალექსანდრე სპირიდონის ძე |
| 15. Теръ-Газарянъ Газаръ Григорьевичъ | 15 ტერ გაზარიანი, გაზარ გრიგორის ძე |
| 16. Махарадзе Герасимъ Фомичъ | 16 მახარაძე, გერასიმე თომას ძე |
| 17. Арсенидзе Ражденъ Матвѣевичъ | 17. არსენიძე, რაჟდენ მათეს ძე |
| 18. Бернштейнъ Эрикъ Адольфовичъ | 18. ბერშტეინი, ერიკ ადოლფის ძე |
| 19. Рольке Артуръ Станиславовичъ | 19. როლკე, არტურ სტანისლავის ძე |
| 20. Тевзая Викторъ Васильевичъ | 20 თევზაია, ვიქტორ ვასილის ძე |
| 21. Малхазовъ Абрамъ Іоновичъ | 21 მალხაზოვი, აბრამ იონას ძე |
| 22. Мойсеенко Петръ Анисимовичъ | 22. მოისეენკო პეტრე ანისიმეს ძე |
| 23. Гварджаладзе Константинъ Егоровичъ | 23 გვარჯალაძე, კონსტანტინე იეგორის ძე |
| 24. Айолло Григорій Густавовичъ | 24. აიოლლო, გრიგოლ გუსტავის ძე |
| 25. Анджапаридзе Георгій Несторовичъ | 25. ანჯაფარიძე, გიორგი ნესტორის ძე |
| 26. Коренева-Жорданія Инна Ивановна | 26. კორენევა, ჟორდანია, ინნა ივანეს ასული |
| 27. Попандопулло Николай Савичъ | 27. პოპანდოპულო, ნიკოლოზ სავას ძე |
| 28. Гаглоевъ Георгій Алексѣевичъ | 28. გაგლოევი, გიორგი ალექსის ძე |
| 29. Фарніевъ Александръ Ивановичъ | 29. ფარნიევი, ალექსანდრე ივანეს ძე |
| 30. Торошелидзе Минадора Ефремовна | 30. ტოროშელიძე, მინადორა ეფრემის ასული |
| 31. Чумаковъ Антонъ Павловичъ | 31. ჩუმაკოვი, ანტონ პავლეს ძე |
| 32. Пирумовъ Богданъ Джаваловичъ | 32 პირუმოვი, ბოღდან ჯავადის ძე |
| 33. Эрадзе Георгій Павловичъ | 33 ერაძე, გიორგი პავლეს ძე |
| 34. Маневичъ Рувимъ Хамовичъ | 34. მანევიჩი, რუვიმ ხამის ძე |
| 35. Зурабянъ Агавани Даніиловна | 35. ზურაბიანი, აღავნი დანიელის ასული |
| 36 Ковалевъ Михаилъ Андреевичъ | 36. კოვალიოვი, მიხეილ ანდრიას ძე |

**ამხანაგებო!** ჩვენი საარჩევნო ბიულეტენი ზომით საწერი ქაღალდის მეოთხედ ფურცლის უდრის. შესაძლებელია რომელიმე კუთხემ სხვადასხვა მიზეზების გამო დროზე ვერ მიიღოს ბიულეტენები ჩვენი პარტიისაგან, ან შეიძლება მიღებული ბიულეტენები საკმარისი არ დარჩეს, მაშინ უნდა აიღოთ ისეთივე ზომის ქაღალდი, როგორიც დაბეჭდილია და თითონ უნდა დაამზადოთ ბიულეტენი—გადასწეროთ ხელით სუფთად და შეუცდომლად, ანდა, სადაც სტამბაა, გადაბეჭდოთ. ეს ადვილი მოსახერხებელია და კიდეც მოესწრება, ვინაიდან ამიერ-კავკასიის სოფლებში ყველგან არჩევნები იწყება 12 ნოემბერს და თავდება 19 ნოემბერს, ე. ი. არჩევნები სწარმოებს მთელი შვიდი დღის განმავლობაში.

ამხანაგებო! ფხიზლად იყავით. არჩევნების დროს გაასკეცეთ მუშაობა, რათა რაც შეიძლება მეტი ხმა მიიღოს ჩვენმა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ № 1.

---

დრო, როცა თქვენ შეგეძლოთ მამაკაცებთან ერთად გამოსულიყავით საზოგადო ასპარეზზე და შეესრულებინათ თქვენი მოქალაქეობრივი ვალი. ქალებო! თუ თქვენ გაინტერესებდათ ჩვენი საზოგადო ცხოვრება, თუ აკვირდებოდით ჩვენ ცხოვრებას გეცოდინებათ რა მდგომარეობა იყო დღემდე მთელ რუსეთში. მთელი საუკუნოების განმავლობაში რუსეთის თვითმპყრობელობა ფეხქვეშ სთელავდა ყოველივე მოქალაქეობრივ უფლებას. მის რკინის მუხრუჭებში ეჭირა ხალხის თვითშემოქმედება, ინიციატივა, ჩვენ ყველა უბრალო მონები ვიყავით. ყოველივე თავისუფალ აზრს, ყოველივე თავისუფალი სიტყვას მეფის მთავრობა სდევნიდა და აკვანშივე ჰკლავდა. მთელი რუსეთი უკუნეთ სიბნელეში იხრჩობოდა. ამ შავბნელ დროში მამაკაცებზე უფრო დაჩაგრული და დამონავებული თქვენ იყავით, ქალებო, თქვენ ისე გიყურებდენ, როგორც უბრალო რაიმე ლამაზ საგანს, არც თქვენ სიტყვას, არც თქვენ აზრს არავითარი განმავლობა არ ჰქონდა, თქვენ იმის ნებაც კი არ გქონდათ, რომ უბრალო მოხელედ ამდგარიყავით რაიმე დაწესებულებაში, თუმცა მამაკაცებზე ნაკლებ არ შეგეძლოთ შეგესრულებინათ საქმე. რუსეთის დიდებულმა რევოლუციამ ერთის დაკვრით თავი მოჰკვეთა იმ ჯალათს, რომელიც ყველას გვახრჩობდა, თავი მოჰკვეთა რუსეთის თვითმპყრობელობას და ჩვენ წინ ფართო საზოგადოებრივი ასპარეზი გადაშალა. დიდებულმა რევოლუციამ თქვენ უფლებრივ გათანასწორებისაკენაც გადასდგა ერთი დიდი ნაბიჯი, თქვენ მოგანიჭათ არჩევნების უფლება მამაკაცებთან ერთად. გახსოვებთ, რომ წინათ სოფლის გზირის არჩევის ნებაც კი არ გქონდათ თქვენ, სადაც კი არჩევნები იყო საერთო მარტო მამაკაცები ღებულობდენ მონაწილეობას, თითქო თქვენ სრულიად არ შეგეხებოდათ საზოგადო საქმე, თქვენ უტყვი მონები იყავით. დღეს თქვენ მონაწილეობას იღებთ მთელი რუსეთის სახელმწიფოებრივ საქმის მოწყობაში, დღეს თქვენ აზრს, თქვენ სიტყვას ანგარიშს უწევენ. დღეს თქვენ მონაწილეობა უნდა მიიღოთ დამფუძნებელ კრების არჩევნებში, იმ დამფუძნებელ კრების, რომლის შემადგენლობაზეა დამოკიდებული, როგორც საზოგადოთ რუსეთის მთელი ცხოვრების, ყველა მოქალაქის, კერძოთ თქვენი ბედ-იღბალი. თუ იქ ისეთი ხალხი გავიდა, რომელსაც მშრომელ ხალხის ინტერესები ფეხებზე ჰკიდია, ეჭვს გარეშეა თქვენი უფლებების შესახებ არავინ კრინტს არ დასძრავს. თქვენ ისევ იმ მონურ მდგომარეობაში დარჩებით, როგორც აქამდე. თუ ოდნავ მაინც თვალყურს ადევნებდით ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას, გაიგებდით ვინ იბრძოდა თვითმპყრობელი რუსეთის ჯოჯოხეთურ წეს-წყობილების დასანგრევათ, ვინ იცლებოდა სისხლიდან, ვინ არ ერიდებოდა არავითარ მსხვერპლს, რომ ბოლოს მაინც მიეღწია თავის მიზნისთვის და მოეპოვებინა ხალხისთვის თავისუფლება. ეს გმირი იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ის პარტია რომლის დროშაზე სისხლის ასოებით აწერია: „ძმობა, ერთობა და თავისუფლება“, რომელიც მუდამ იცავდა და იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს, რომელიც მუდამ იცავდა და იცავს სქესობრივ თანასწორობის უფლებას. და აი მან მიაღწია კიდეც მიზანს, დაამხო რუსეთის თვითმპყრობელობა. ქალებო! თუ თქვენ გინდათ მართლა მოიპოვოთ მოქალაქეობრივი უფლებები თანასწორ მამაკაცებთან, თუ თქვენი მუდმივი საყვედურები თქვენი დაჩაგვრისა და მონურ მდგომარეობის შესახებ მარტო ლიტონი სიტყვები არ არის, მაშ დადგა თქვენი დროც, ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მენშევიკთა სიას № 1, ამ სიით არჩეული წარმომადგენლნი დაიცავენ როგორც მთელი მშრომელი ხალხის ისე თქვენს ინტერესებს.

## პრესა

ჩვენი ბოლშევიკები თანდათან უფრო ღრმად ეშვებიან დემაგოგობის მორევში. ოღონ ვისმე თავი მოაწონონ, თუნდაც სულ მოკლე დროით და სხვა არას დაგიდევენ: არც ლოღიკა, არც სირცხვილის გრძნობა მათ არ შეაწუხებს. ლანძღვას ნუღა იკითხავთ: ასე ეგონებათ თავისი დღენი ავლაბრის ერთ წრეში გაუტარებიათო.

რითი დავიმსახურეთ ასეთი ლანძღვა-გინება (იხ. „ბრძოლა“ № 31, წერილი „რუსეთიდან ჩამოსულები“).

ჩვენ არ დაგვიმალეთ მკითხველებს, რომ ქვეყანა განსაცდელშია. მაშ რა არის თუ არა განსაცდელი, როცა ძმა ძმის სისხლსა ღვრის, როცა სურსათი ელევა როგორც ჯარს, ისე მშვიდობიან მოქალაქეს, როცა არეულ ლენინის „მთავრობას“ ხალხის უმრავლესობა არა სცნობს?

აბა სცადონ ამ უპასუხისმგებლო დემაგოგებმა და საბუთებით დაგვიმტკიცონ წინააღმდეგ! ისინი ამპარტავნულად გამოქვეყნებენ და გვეუბნებიან: „თქვენ, მენშევიკები მშიშრები ხართ“-ო. ალბათ თითონ მეტის-მეტი გამბედაობით მოაქვთ თავი.

საბრალო დემაგოგებო! სწორედ თქვენზე თქვა მუშათა კლასის დიდებულმა ბებელმა: „იარაღი კარგი რამ არის მეგობრებო, მაგრამ თავშიაც უნდა გქონდეთ რამეო!“ და რაკი რამდენიმე ქაღალდი ხელში ჩაიგდეს, გონიათ, რომ ყველაფერი მოწყობილია! პეტროგრადის გაზეთები რომ წაეკითხათ ჩვენებურ უშიშარ რაინდებს, იმას მაინც გაიგებდენ, რომ როცა პეტროგრადის ბოლშევიკები ცხოვრების წინაშე პირის პირ წარსდგნენ, ერთბაშად დასტოვეს მთავარი საფუძველი თავისი პროგრამისა: მათ ხელი აიღეს დღესვე სოციალიზმის განხორციელებაზე, ზავი კი არ ჩამოაგდეს, მხოლოდ მის შესახებ დეკრეტი გამოსცეს, საიდუმლო ხელშეკრულების გამოქვეყნება რაა, ისიც კი არ გამოაქვეყნეს, თუმცა ცხადლივ და სიზმარშიაც სულ მუდამ მათ გამოქვეყნებას ითხოვდენ. ეს ცოტაა: ისინი „შემთანხმებლებს“ გვეძახდენ, ბურჟუაზიასთან კავშირს გვაბრალებდენ დღე? დღეს ჩვენ მოლაპარაკეებით გვთვლიან, მაგრამ ჩვენთან კავშირს დროებით მთავრობის შესადგენათ შესაძლებლათ თვლიან. როგორ მოგწონთ ეს „მოლაპარაკეებთან“ შეთანხმება!

დემაგოგიამ ისე გაიტაცა ჩვენი ბოლშევიკები, რომ ჩვენი წერილის შინაარსი ვერც კი გაიგეს. ამტკიცებს, რომ ერთის მხრით პურიშკევიჩურ მთლიან რუსეთის მომხრეთ გამოვყავართ, მეორე მხრით სრულს სეპარატისტებათ გვთვლიან!

როგორ მოხდა ეს—„ბრძოლის“ ალღომ უწყის. ჩვენ არ გვახარებს რუსეთის დაშლა, რადგან ჩვენი დევიზია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ამ ნიადაგზე ვმუშაობთ ჩვენ მუდამ და ასეთი შინაარსი ჩვენთვის უფრო ძვირფასია, ვინემ დემაგოგების აგიტაცია. მაგრამ ჩვენ არც იმის მომხრე ვართ, რომ თუ რუსეთი დაიღუპა, ჩვენ თავს არ ვუშველოთ, მით უმეტეს, რომ ეს საერთო საქმისთვისაც სასარგებლო იქნება.

„კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების“—დემაგოგებს სხვა რა დარჩენიათ, მაგრამ სასაცილო ის არის, რომ მარქსიზმის დამცველნი მარქსისტულ მეცნიერებითაც ყოყოჩობენ. „ეკონომიურათ არარაობა, ხოლო პოლიტიკურათ ძლიერება—როგორ მოგწონთ ეკონომიკის და პოლიტიკის ასეთი ურთიერთობა, მათი ასეთი დაპირდაპირება მარქსისტის მხრით“—გვეკითხებიან.

როგორ მოგწონს, მკითხველო, სხვის მიერ დაწერილის ასე უტიპრათ დამახინჯება?

ჩვენ ვწერდით: „დღეს ჩვენ იმდენათ მოღონიერებული ვართ, რომ პოლიტიკურათ კიდევ შეგვეძლია საკუთარ ფეხზე დადგომა“-თქო. შეადარეთ ეს „იმდენათ“ „კიდევ შეგვეძლია“ ბრძოლის კალმოსნის მიერ მოყვანილს „პოლიტიკური ძლიერება“ და დარწმუნდებით როგორის ზნეობის ხალხთან გვაქვს საქმე!

*
* *

ბოლშევიკები არ ისვენებენ. კრილოვის ერთი გმირი თავმოწონებით ამბობს ავათმყოფ ლომზე: ერთი წიხლი მეც ვუთავაზეო.

როგორ დაემსგავსნენ ჩვენებური ბოლშევიკები კრილოვის ამ პატიოსან გმირს!

ვინ არ იცის, რომ რუსეთის პროლეტარიატი დღეს დაუძლურების ხანას განიცდის. ის აყვა უპასუხისმგებლო ავანტიურისტებს, მისი ძალები დაიქსაქსა. ძმა ძმას არ ინდობს. სამოქალაქო ომი გაჩაღდა თავისი საშინელებით. პიროვნების და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მეტ ბარგათ იქნა გამოცხადებული.

აი ამ დროს ჩვენი ბოლშევიკები სიხარულის გრძნობას გაუტაცნია და წიხლავენ გამოჩენილ მებრძოლთ ნოე ჟორდანიას, წერეთელს, ჩხეიძეს და სხვებს.

ამიერიდან მოძრაობის სათავეში, ალბათ, თითონ ფიქრობენ ჩადგომას. ამაზე უთქვამთ: „ბიდაურებო დასხდენო“...

## ახალი ამბები

**დამფუძნებელი კრების არჩევნები** მთელს ამიერ-კავკასიის საარჩევნო ოლქში დაიწყება დღეს, 12 ნოემბერს. ტფილისში არჩევნები სწარმოებს 12 და 18 ნოემბერს დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე, 14 ნოემბერს კი—დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 საათამდე. ასე რომ, ტფილისში არჩევნები იწარმოებს სამ დღეს. ამიერ-კავკასიის დანარჩენ ადგილებში არჩევნები დაიწყება აგრეთვე 12 ნოემბერს და გათავდება 18 ნოემბერს. ვისაც სახელობითი მოწმობა სახლში არ მიუღია, მას შეუძლია ასეთი მოწმობის მიღება თვით საარჩევნო დარბაზში. ვინც საარჩევნო სიაში ხართ შეტანილნი, მიაშურეთ საარჩევნო უბნებს—სულ ერთია, სახელობითი ბარათი მიღებული გაქვთ თუ არა. გახსოვდეთ, რომ ტფილისი დაყოფილია 44 საარჩევნო უბნათ. ხმა უნდა მისცეთ იმ საუბნო საარჩევნო უბანში, რომელ უბანშიაც ცხოვრობთ. ამხანაგებო და მოქალაქენო! იჩქარეთ გამოცხადდეთ საარჩევნო ყუთებთან! ყველა საარჩევნო უბანში იქნებიან ჩვენი პარტიული ამხანაგები, რომლებიც ყოველგვარ ახსნა-განმარტებას მოგცემენ, დახმარებას აღმოგიჩენენ, რომ არც ერთი ხმა არ დაეკარგოს ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. ხმა მიეცით სიას № 1!

◆ **თათბირი ამიერ-კავკასიაში მმართველობის მოწყობის შესახებ.** გუშინ ტფილისში შესდგა ამხ. ეგნატე გეგეჭკორის თავმჯდომარეობით რევოლუციონურ ორგანიზაციებისა, სოციალისტურ პარტიებისა, ამიერ-კავკასიის ყველა ერთა წარმომადგენლების თათბირი. თათბირს დაესწრო აგრეთვე მოკავშირე ნეიტრალურ სახელმწიფოთა ელჩები, კავკასიის ჯარის მთავარი სარდალი გენ. პრჟევალსკი, კავკასიის, სამხედრო ოლქის უფროსი გენ. მდივანი, თუ გარნიზონის უფროსი პოლკოვ. ტ. ახმეტელაშვილი და სხ. დარბაზში დაუშვეს მხოლოდ განსაზღვრული რიცხვი გარეშე პირებისა ბარათებით. თათბირს მოკლე სიტყვით მიმართა თავმჯდომარემ, რის შემდეგ ვრცელი მოხსენება გააკეთა კავკასიის ჯარის კომისარმა დ. დონსკოიმ. მომხსენებელმა წარმოადგინა პროექტი, რომლის თანახმათ ამიერ-კავკასიის დროებითი მთავრობა უნდა შესდგეს დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნ დეპუტატებისაგან. [illegible] ფილიპე მახარაძემ. იგი წინააღმდეგია ადგილობრივი მართვა-გამგეობის დაარსებისა. ს.-რევოლუციონერების სახელით [illegible] ს. რ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრმა „დელო ნაროდა“-ს თანამშრომელმა ლუნკევიჩმა. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ნოე ჟორდანიამ. მის გამოსვლას ხანგრძლივი ტაშისცემით და ოვაციებით შეხვდა თათბირი. ნოე ჟორდანიამ ს.-დ. საოლქო კომიტეტის სახელით მხარი დაუჭირა პროექტს. თათბირის დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

◆ **ეროვნულ ინტერ. საბჭოს** დადგენილების თანახმად არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც ევალება 19 ნოემბრისათვის დანიშნულ ეროვნულ ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საქმეების მოგვარება და გაძღოლა. კომისიაში შედიან: შ. ქარუმიძე, პ. ქავთარაძე, მ. გაგუშელი, დ. სულიაშვილი, მ. საყვარელიძე, ი. მაჭავარიანი და პ. ბარათაშვილი. კომისია უკვე შეუდგა თადარიგს. კომისიის მისამართი: საქ. ეროვნ. ინტ. საბჭოს ბინა—გრიბოედოვის ქუჩა, № 11, სადეპუტატო საკრებულოს სახლი.

◆ **ამიერ-კავკასიის სამოსწავლო ოლქის** კომისარიატთან 9 ნოემბერს შესდგა ქართული პედაგოგიური საბჭოს მორიგი კრება. კრებას დაესწრო 30-დე მასწავლებელი. დიდი კამათი გამოიწვია სკოლებში გრამმატიკის სწავლების საკითხმა. მოლაპარაკეთა ერთი ნაწილი იცავდა ამ საგნის სწავლების აუცილებლობას სკოლაში. ხოლო მეორე ნაწილი შეუძლებლად აღიარებდა ამ საგნის სკოლაში დატოვებას და მის სრულიად გამორიცხვას მოითხოვდა სასკოლო კურსიდან. კამათი არ დასრულდა. საკითხი კვლავ შემდეგისათვის გადაიდო. შემდეგ კრებაზე, რომელიც მოხდება კომისარიატის ბინაზე (ოლღას სახლი გოლოვ. პროსპ.) ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, საღამოს წაკითხული იქნება განსაკუთრებული მოხსენება ენის სწავლების შესახებ პროგიმნაზიულ კლასებში. მოხსენების შემდეგ გაგრძელდება კამათი. კრებაზე დასწრება შეუძლიათ გარეშე დაინტერესებულ პირთაც.

◆ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის** კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა განათლების სამინისტროს წინაშე [illegible] ნება მიეცეს [illegible] ქალიშვილებსაც ასე, როგორც [illegible].

◆ **ქიმიკოსთა კავშირი.** საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა ამიერ-კავკასიის ქიმიკოსთა კავშირის დაარსება და ამ კავშირის წესდების შემუშავება.

◆ **საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა** დაადგინა მისცეს მომხმარებელთა საზოგადოებას „მოსავალს“ 25 ათასი მანეთი სესხი.

◆ **რადგან ც საარჩევნო ბიულეტენები,** სხვადასხვა ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო ძალიან ცოტა დაიბეჭდა, რ. ს.-დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტი აფრთხილებს ამხანაგებს დაზოგვით გაავრცელონ იგი და კონვერტებშიაც თითო ბიულეტენი ჩასდონ და არა ორი და სამი ცალი, როგორც ეს საქალაქო არჩევნების დროს ხდებოდა.

◆ **საარჩევნო ფონდი.** მივიღეთ საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ დათიკო ნაცვლიშვილისაგან—5 მ., პეტრე ჩხიკვიშვილისაგან—8 მ. 50 კ., მ. ურუშაძისაგან—25 მ., იპოლიტე ინწკირველისაგან—10 მ.

◆ **სამგლოვიარო წერილები.** ღრმათ დაგვამწუხრა ამხანაგ რაფიელ რამიშვილის უდროოთ დაკარგვამ. ი. შანიძე და ირინა შანიძისა.

◆ **„ეშმაკის მათრახა“** გამოვიდა განსაკუთრებულად დამფუძნებელი კრების ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია თითქმის ყველა № 1 დეპუტატები, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 50 კაპ.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, დილის 12 ს., პრესის ბიუროს ბინაზე დანიშნულია ჟურნალისტთა კავშირის წევრთა კრება.

— დღეს, დილის 10 ს., 1 [illegible] პირველ დაწყებითი სასწავლებლის შენობაში დანიშნულია მშობელთა წრის კრება.

— ხვალ, საღამოს 7 ს., ბიუროს ბინაზე (პეტრე დიდის ქ. № 18) დანიშნულია დალაქ პარიკმახერთა კრება. დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) გამგეობის წევრთა არჩევა.

## პეტროგრადის ამბები

ნ. ჟორდანიამ ს. დევდარიანისაგან ხარკოვიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ხარკოვში სიწყნარეა. პირველ დღიდანვე შესდგა კომიტეტი, რომელშიაც შევიდენ საერთოთ ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლნი და ქალაქის თვითმართველობები. კომიტეტმა მიზნათ დაისახა არც დროებით მთავრობას დაუჭიროს მხარი და არც ბოლშევიკებს, ებრძოლოს ექსცესებს სულ ერთია რომელი მხრიდანაც იქნება და თავიდან აიცილოს სამოქალაქო ომი. მშვიდობიანობა არაფრით არ დარღვეულა. ჩვენი პლატფორმაა ერთგვარი დემოკრატიული მთავრობის შედგენა სახალხო სოციალისტებიდან ბოლშევიკებამდე. ასეთი პლატფორმით გამოდიან სრულიად რუს. რკ. გზის კავშირი და უკრაინელთა რადაც.

პეტროგრადში დროებით შერიგება მოხდა შეთანხმების პირობების შესამუშავებლათ. ცენტრალურ კომიტეტის ნაწილი გავიდა, რადგან შეთანხმების წინააღმდეგი იყო. ლენინმა ჯარების კომიტეტებს მისწერა თვით აირჩიონ რწმუნებულნი მტერთან მოსალაპარაკებლათ დროებით შერიგების შესახებ. ხარკოვში ბოლშევიკები აგიტაციას ეწევიან მთავრობის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ. ქარხნებში ხელახლად არჩევნები ხდება, და იმედი აქვთ საბჭოში მეტი თავისი წარმომადგენლები გაიყვანონ. საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გადაჭრით გამოდიან უკრაინელები, რომელთაც ქალაქში თავიანთი ჯარები ჰყავთ. რადგან უკრაინაში სულ მთავრობათ გამოაცხადა თავი და ხარკოვის გუბერნია უკრაინის შეუერთა. ამიტომ ბოლშევიკებსა და უკრაინელებს შორის მეტად გამწვავდა მდგომარეობა და რით დათავდება საქმე არ ვიცით. ასეთივე მდგომარეობაა კიევშიაც. ყველაზე მეტათ დაზარალდა სამოქალაქო ომის გამო მოსკოვი.

მოსკოვის გაზეთები მხოლოდ გუშინ გამოვიდა, პეტროგრადში ბურჟუაზიული გაზეთები ჯერ კიდევ დახურულია.

კადეტები სარდაფებში ჩაიმალნენ და გამოაცხადეს, რომ დემოკრატიულ პრინციპებისათვის იბრძვიან. დამფუძნებელ კრების არჩევნები მაინც ვადაზე ხდება. სამხედრო გარეთიდან ჯერ კიდევ განსაზღვრული ცნობები არ არის. რასაკვირველია, სოციალური რევოლუციის არავითარი ნიშნები არ არის.

ტროცკი ეძებს საიდუმლო ხელშეკრულებებს და ჯერაც ვერ უპოვნია. გუშინ მან გამოაცხადა, რომ იპოვნა ეს ხელშეკრულებები და წაიკითხა და რომ ის ცინიკურია, ვიდრე ჩვენ გვეგონა. ის ამბობს, რომ ამ დღეებში გამოაქვეყნებს, რატომ ეხლა არ აქვეყნებს არ ვიცით.

მასაში უკვე უკმაყოფილებამ იჩინა თავი. ბოლშევიკების მომხრეები ყვირიან ძირს ლენინი და ტროცკი. მოსკოვის ქალაქის საბჭო გარეკეს.—უნდათ პეტროგრადისაც გარეკონ.

ცნობები გვაქვს, რომ ვორონეჟი ბოლშევიკების ხელშია. იქ ისეთივე ტერორია გამეფებული, როგორც სატახტო ქალაქებში. დონის ოლქში კალედინმა სამხედრო წესები გამოაცხადა. იქ ზოგიერთ ადგილებში გარეკეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, მაგრამ ეხლა ისევ აღადგინეს. მთელ ოლქში სიწყნარეა. როგორც გვაცნობებს, ყაზახები არც ხარკოვისკენ წამოსულან და არც ვორონეჟისკენ.

